paysera

განახლდა: 08/12/2020

# გადახდის ინიცირების უზრუნველყოფისა და ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურების წესები

**ღია კავშირის ინტერფეისი** - საჯარო ტექნიკური ინტერფეისი საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს, გადახდის ინიცირების მომსახურების პროვაიდერებს, ანგარიშის საინფორმაციო მომსხურების პროვაიდერებს და სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს შორის, რომლებიც მართავენ ანგარიშებს, გადამხდელებსა და მიმღებებს შორის კავშირის შესანარჩუნებლად.

**გადახდის ინიცირების მომსახურების პროვაიდერი, ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურების პროვაიდერი, Paysera** - Paysera LT, UAB, იურიდიული დაწესებულება კოდი: 300060819, ოფიციალური მისამართი: Pilaitės pr. 16, ვილნიუსი, LT-04352, ელ.ფოსტის მისამართი: info@paysera.lt, ტელეფონი: +370 52071558. ელექტრონული ფულის ინსტიტუტი ლიცენზიის No.1 გაცემული 2012 წლის 27 სექტემბერს; გამცემი და ზედამხედველობის ორგანოა არის ლიეტუვას ბანკი საიდენტიფიკაციო კოდი 188607684, მისამართი: Žirmūnų g. 151, ვილნიუსი, ელ.ფოსტის მისამართი pt@lb.lt, ტელეფონის No. (8 5) 268 0501; Paysera LT, UAB -ის შესახებ მონაცემები შეგროვებული დაშენახულია ლიეტუვას რესპუბლიკის იურიდიული პირების რეესტრში.

**გადამხდელი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს საგადახდო ანგარიშს (ანგარიშებს) სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერის დაწესებულებაში (დაწესებულებებში) და საშუალებას აძლევს შეასრულოს ან წარადგინოს გადახდის დავალება აღნიშნული გადახდის ანგარიშიდან (ანგარიშებიდან) Paysera-ს მიერ მოცემული მომსახურების გამოყენებით, რომლებიც აღწერილია წინამდებარე წესებში.

**გადახდის ინიცირების მომსახურება, PIS** - საგადახდო მომსახურება, როდესაც გადახდა ინიცირებულია გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე საგადახდო ანგარიშიდან, რომელიც გახსნილია საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სხვა დაწესებულებაში გადახდის ინიცირების მომსახურების პროვაიდერის საშუალებით.

**საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, PSP** - წინამდებარე წესების მიხედვით იგულისხმება საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომლის დაწესებულებაში გადამხდელს აქვს საგადახდო ანგარიში, საიდანაც ისინი აპირებენ გადარიცხვის დავალების შესრულებას (მაგ. ბანკები, სხვა საკრედიტო დაწესებულებები და ა.შ.).

**ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურება AIS** - საგადახდო მომსახურება, სადაც კონსოლიდირებული ინფორმაცია გადამხდელის ერთი ან რამდენიმე საგადახდო ანგარიშის შესახებ სხვა გადახდის მომსახურების პროვაიდერის დაწესებულებაში არის მიწოდებული, ინტერნეტის საშუალებით

**წესები** - გადახდის ინიცირების მომსახურების მიწოდებისა და ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურების წინამდებარე წესები.

## PIS და AIS-ის ზოგადი მახასიათებლები

1. აღნიშნული წესები განსაზღვრავს PIS-ისა და AIS-ის ფუნქციონირებას Paysera-ს სისტემაში, აწვდის მათ ძირითად ფუნქციებს, არეგულირებს გადამხდელის პერსონალური მონაცემების გამუშავების პროცესს, გადამხდელისათვის PIS-ისა და AIS-ის უზრუნველყოფის მიზნით

2. Paysera-ს მიერ მოწოდებული AIS საშუალებას აძლევს გადამხდელს, რომელიც აპირებს PIS-ის გამოყენებას, მიიღოს ინფორმაცია სხვა PSP-ის დაწესებულებაში მათი ანგარიშების შესახებ, არსებულ ანგარიშებზე არსებული სახსრების ბალანსის შესახებ და/ან შეარჩიოს ანგარიში, რომელზეც მომხმარებელი აპირებს დაიწყოს გადახდის ინიცირების დავალება ღია დაკავშირებული ინტერფეისით, რომელსაც აქვს Paysera-ს სისტემური მხარდაჭერა.

3. Paysera-ს მიერ მოწოდებული PIS-ს გამოყენებით გადამხდელს აქვს შესაძლებლობა ავტომატურად გენერირებული გადახდის დავალების ინიცირებისა და დადასტურების (ავტორიზების), Paysera-ს მიერ გადამხდელის PSP დაწესებულებაში.

4. Paysera არ იყენებს საკომისიოს გადამხდელს არც AIS-ის და არც PIS-ის მიწოდებისთვის. თუმცა, აღნიშნული წესების მიხედვით გადამხდელს ეცნობება, რომ გადამხდელის PSP-ის მიერ გადახდილი გარკვეული ტიპის გადარიცხვისთვის გამოყენებული იქნება სტანდარტული საკომისიო, რომელიც მიმართავს გადამხდელს მათი PSP დაწესებულების მიერ გადამხდელის PSP-ის მიერ გადახდილი გადარიცხვისთვის. თუ გადამხდელის PSP აცნობებს გადახდის მსგავსი გადარიცხვის საკომისიოს, Paysera-მ ასევე უნდა აცნობოს გადამხდელს ამის შესახებ, სანამ ისინი გადახდის დავალებას ავტორიზაციას გაუკეთებენ.

## PIS და AIS-ის მუშაობის დეტალური აღწერა

5. AIS-ისა და PIS-ის მიწოდებამდე გადამხდელს ეცნობება გარკვევით და ცალსახად, რომ მომსახურებას გასწევს Paysera წინამდებარე წესების შესაბამისად და მხოლოდ გადამხდელის თანხმობით. აღნიშნული ინფორმაციისა და წესების გაცნობის შემდეგ, გადამხდელი გამოთქვამს თანხმობას თავისი ქმედებებით დაიწყოს PIS და AIS, ე.ი. გადამხდელის ტექნიკურ ინტეგრაციაზე დამოკიდებულებით – ან ახალ ფანჯარაში თანხმობის ღილაკზე დაჭერით ან სხვაგვარად PIS-ისა და AIS-ის მიწოდების ინიცირების არჩევით. გადამხდელი ასევე ადასტურებს მინიჭებულ თანხმობას მოგვიანებით თავისი PSP-ის ელექტრონულ ბანკში შესვლის მონაცემების შეყვანით და Paysera-ს მიერ გენერირებული გადახდის დავალების დადასტურებით.

6. გადამხდელი გამოხატავს თანხმობას PIS AIS-ის მიწოდებაზე და შეაქვს მათი ელექტრონული საბანკო მონაცემები PSP-ში ავტორიზაციისთვის, Paysera-ს მიერ მხარდაჭერილი ღია კავშირის ინტერფეისის მეშვეობით, სადაც გადახდის დავალება ავტომატურად გენერირდება და ინიცირებულია გადამხდელის სახელით. აღნიშნული ფუნქციის შესრულებისას აყსერა არ კრებს, არ აგროვებს ან არ ინახავს გადამხდელის მიერ მოწოდებულ ელექტრონულ საბანკო მონაცემებს (პერსონალიზებული უსაფრთხოების მონაცემები). ინფორმაცია, რომელსაც გადამხდელი იყენებს ელექტრონულ ბანკში შესასვლელად (მომხმარებლის ID, პაროლი, გენერირებული კოდები, პაროლის ბარათის კოდები ან სხვა) დაშიფრულია და გამოიყენება მხოლოდ ერთხელ გადახდის დავალების ინიცირებისთვის, ანგარიშის ინფორმაციისთვის და მხოლოდ ერთი სესიის განმავლობაში.

7. Paysera PIS-ის გამოყენებით, გადამხდელი მათი სახელით და ცალმხრივად იწყებს გადახდის დავალების გაგზავნას არჩეულ PSP-ზე. გადამხდელს შეუძლია გააუქმოს საგადახდო დავალება საგადახდო დავალების დადასტურების (ავტორიზებული) მომენტამდე. საგადახდო დავალების გაუქმების სურვილს გადამხდელი გამოხატავს სესიის შეწყვეტით და საგადახდო დავალების არ დადასტურებით (ავტორიზირება).

8. Paysera-ს მიერ მოწოდებული AIS-ის გამოყენებით, გადამხდელს მიეწოდება ინფორმაცია გადამხდელის ანგარიშ(ებ)ის შესახებ კონკრეტულ PSP დაწესებულებაში PIS-ის დროს. თუ გადამხდელს აქვს რამდენიმე საგადახდო ანგარიში PSP-ის კონკრეტულ დაწესებულებაში, გადამხდელს შეუძლია აირჩიოს გადახდის ანგარიში, საიდანაც აპირებს გადახდის დავალების შესრულებას.

9. Paysera-ს მიერ მოწოდებული PIS-ის გამოყენებით, მას შემდეგ რაც გადამხდელი შედის მის PSP-ში Paysera-ს მიერ მხარდაჭერილი ღია კავშირის ინტერფეისის მეშვეობით, Paysera ავტომატურად აგენერირებს გადახდის დავალებას Paysera-სთვის მიწოდებული გადამხდელის მონაცემების შესაბამისად, ასევე მიუთითებს შემდეგზე:

9.1. Paysera მითითებულია, როგორც მიმღები და ინფორმაცია ბოლო მიმღების შესახებ მიწოდებულია გადამხდელისთვის გადახდის დანიშნულების ველში;

9.2. თუ საბოლოო მიმღები არის Paysera-ს მიმღები, გადახდის მიზანი მითითებულია ავტომატურად საბოლოო მიმღების მონაცემების მიხედვით, რათა საბოლოო მიმღებმა შეძლოს ადვილად ამოიცნოს გადამხდელის მიერ შესრულებული გადახდა, ე.ი. შეძენილი საქონელი ან მომსახურება და გადახდის დანიშნულება;

9.3. PIS-ის მიწოდებისას ავტომატურად გენერირებული და გადამხდელის მიერ საგადახდო დავალების დაწყებისას დადასტურებული გადახდის თანხა;

9.4. საგადახდო დავალების გენერირების შემდეგ, თანხის ოდენობა, თანხის მიმღები და გადარიცხვის სხვა მონაცემები არ შეიძლება შეიცვალოს.

10. გადამხდელმა უნდა დაადასტუროს (ავტორიზება) საგადახდო დავალება, Paysera-ს მიერ ავტომატურად გენერირებული.

11. საგადახდო დავალების ინიცირების მომსახურების წარმატებით მიწოდების შემდეგ, გრძელვადიანი საშუალების გამოყენებით, Paysera წარუდგენს დადასტურებას გადამხდელს და საბოლოო მიმღებს გადახდის დავალების სწორად დაწყებისა და წარმატებით დასრულებული გადახდის დავალების შესახებ, რაც ამავდროულად არის დადასტურებაც იმისა, რომ გადახდის დავალება სათანადოდ არის ინიცირებული გადამხდელის PSP დაწესებულებაში. აღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად Paysera წარუდგენს სხვა მონაცემებს, რომლებიც მიღებულ იქნა გადახდის ტრანზაქციის დროს, რაც გადამხდელს და საბოლოო მიმღებს საშუალებას აძლევს ამოიცნონ გადახდის ტრანზაქცია, თანხა და მონაცემები, რომლებიც საჭიროა საბოლოო მიმღებისთვის, რომ ამოიცნოს გადამხდელი.

12. Paysera-მ უნდა აცნობოს საბოლოო მიმღებს გადახდის წარმატებით შესრულების შესახებ.

13. PIS-ის მიწოდებისას, Paysera აწვდის გადამხდელს და საბოლოო მიმღებს მონაცემებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ დაადგინონ გადახდის ტრანზაქცია და გადამხდელი.

14. PIS და/ან AIS-ის მიწოდებისას Paysera არ ინახავს გადამხდელის თანხებს ნებისმიერ მომენტში

## პასუხისმგებლობები

15. Paysera იღებს სრულ პასუხისმგებლობას გადამხდელის მიერ შერჩეული PSP-ისთვის გადამხდელის გადახდის დავალების სათანადოდ წარდგენაზე, ასევე გადამხდელის მიერ მოწოდებულ ელექტრონულ ბანკში შესვლის მონაცემების უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობაზე.

16. იმ შემთხვევაში, თუ Paysera უზრუნველყოფს PIS-ს, გადამხდელის მიერ ინიცირებული საგადახდო დავალებისა და თანხების ინფორმაციის მიხედვით, რომელიც მითითებულია გადამხდელის მიერ თანხების მიმღებზე თანხის დაკრედიტებით მაგრამ რაიმე მიზეზის გამო, თანხები არ იქნა დარიცხული და გადარიცხული ან დაუბრუნდა გადამხდელს, Paysera ჩათვლის ასეთ თანხებს, როგორც გადამხდელის ვალს საბოლოო მიმღების წინაშე.

17. თუ გადამხდელი გაიგებს არაავტორიზებული ან შეუსაბამო საგადახდო ტრანზაქციის შესრულების შესახებ, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა Paysera-ს მომსახურება, გადამხდელმა უნდა აცნობოს მათი საგადახდო ანგარიშის ოპერატორს ყოველივეს შესახებ, მათი ანგარიშის ოპერატორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ითითებული პროცედურის შესაბამისად.

## მონაცემთა დაცვა

18. საგადახდო გადარიცხვების უსაფრთხოებისა და გადამხდელთა მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად, Paysera არ ინახავს გადამხდელის მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხოების პერსონალიზებულ მონაცემებთან (მაგ. უნიკალური იდენტიფიკატორები, პაროლები ან გადახდის დავალების დადასტურების (ავტორიზაციის) კოდები) გამოყენებულ საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებსა და სერვერებში. ყველა ეს მონაცემი წარმოდგენილია პერსონალური მონაცემების სუბიექტის მიერ და/ან PSP-ის მიერ.

19. გადამხდელის ელექტრონული ბანკისთვის ყველა პერსონალიზებული ავტორიზაციის მონაცემი (უსაფრთხოების პერსონალიზებული მონაცემები) გამოიყენება მხოლოდ ერთჯერადი სესიების დროს, სადაც ის დაშიფრულია და მისი ნახვა, აღდგენა ან გამოყენება Paysera სისტემაში შეუძლებელია. ყოველ ჯერზე, როდესაც გადამხდელი წარადგენს მოთხოვნას გადახდის დავალების ინიცირების შესახებ ან/და ანგარიშის ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ, მან კიდევ ერთხელ უნდა დაადასტუროს თავისი ვინაობა PSP-ს, რომელიც მუშაობს მათ ანგარიშზე.

20. გადამხდელის მიერ Paysera სისტემაში გადახდის შესრულებისას მოწოდებული ყველა მონაცემი გადაეცემა PSP დაწესებულებას SSL სერტიფიკატით დაცული უსაფრთხო არხის მეშვეობით. ამრიგად, გადამხდელის ელექტრონულ ბანკში ავტორიზაციის მონაცემები და გადახდის დავალების დადასტურების (ავტორიზაციის) კოდები რჩება უსაფრთხო და არ შეიძლება გადაიტანოს მესამე პირებმა.

21. Paysera სისტემაში PIS-ისა და AIS-ის მიწოდების მიზნით შეიძლება დამუშავდეს შემდეგი მონაცემები (მათ შორის პერსონალური მონაცემები): გადამხდელის სრული სახელი, ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომერი, გადახდის თარიღი, გადახდის თანხა, გადახდის მიზანი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, IP მისამართი, გადამხდელის ანგარიშების ჩამონათვალი და მათი ბალანსი და გადამხდელის ანგარიშის ნომერი.

22. Paysera ამუშავებს გადამხდელის პერსონალურ მონაცემებს საგადახდო მომსახურებების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და PIS-ისა და AIS-ის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების საჭიროების საფუძველზე, რომლის მხარეც მონაცემთა სუბიექტია.

23. Paysera ამუშავებს გადამხდელის მონაცემებს (მათ შორის პერსონალურ მონაცემებს) შემდეგი დებულებების შესაბამისად:

23.1. უზრუნველყოფს, რომ PIS-ის ან AIS-ის მიწოდების დროს მიღებული ინფორმაცია გადამხდელის შესახებ მოწოდებული იქნება მხოლოდ იმ მოცულობით და რამდენადაც ეს აუცილებელია მომსახურების გაწევისთვის ან თუ ამას მოითხოვს კანონმდებლობა;

23.2.არ ინახავს გადამხდელის სენსიტიურ საგადახდო მონაცემებს ანუ მონაცემებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას თაღლითობის ჩასადენად და რომელიც შეიცავს უსაფრთხოების პერსონალიზებულ მონაცემებს;

23.3. უზრუნველყოფს, რომ გადამხდელის პერსონალიზებული უსაფრთხოების მონაცემები არ იქნება ხელმისაწვდომი სხვა მხარეებისთვის, გარდა თავად გადამხდელისა და უსაფრთხოების პერსონალიზებული მონაცემების გამცემისა (შესაბამისი PSP);

23.4. არ აგროვებს ან ამუშავებს მონაცემებს PIS-ის და/ან AIS-ის მიწოდებასთან დაკავშირებული მიზნებისთვის;

23.5. აქვს წვდომა მხოლოდ მითითებულ გადახდის ანგარიშებზე და დაკავშირებული გადახდის ოპერაციების შესახებ;

23.6. არ ცვლის გადახდის დავალებაში მითითებულ გადამხდელის პერსონალურ მონაცემებს;

23.7. ასრულებს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს პერსონალური მონაცემების შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, ცვლილების, გამჟღავნებისა და ნებისმიერი სხვა უკანონო დამუშავებისგან დასაცავად, როგორც ეს გათვალისწინებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების მარეგულირებელი კანონმდებლობით;

23.8. ასრულებს ზომებს PIS-ის ან AIS-ის გამოყენების თავიდან ასაცილებლად იმ პირების მიერ, რომლებიც ცდილობენ მოტყუებით მოიპოვონ ან გააკონტროლონ სახსრები.

24. გადამხდელს უფლება აქვს გაეცნოს Paysera-ს მიერ დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებს. გადამხდელს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, ამუშავებს თუ არა Paysera მათ პერსონალურ მონაცემებს და თუ ამას აკეთებს, გაეცნოს მას და მიიღოს ინფორმაცია, რომელი წყაროებიდან და რა პერსონალური მონაცემები გროვდება, რა არის მისი დამუშავების მიზანი და ვის ემსახურება ყოველივე ან ვის შეიძლება წარედგინოს იგი; მიიღოს Paysera-სგან მათი პერსონალური მონაცემების ასლი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. Paysera-მ გადამხდელისგან წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ უნდა წარადგინოს მოთხოვნილი მონაცემები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში ან მიუთითოს ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მიზეზები. მონაცემების მიწოდება შესაძლებელია უსასყიდლოდ ერთხელ კალენდარული წლის განმავლობაში, მაგრამ სხვა შემთხვევებში მონაცემთა მიწოდება შეიძლება გადაიხადოს ისეთი ოდენობით, რომელიც არ აღემატება მონაცემთა მიწოდების ხარჯებს. . გაიგეთ მეტი პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლებებსა და პროცედურაზე .

25. გადამხდელს უფლება აქვს მოითხოვოს Paysera-ს არასწორი და/ან არაზუსტი პერსონალური მონაცემების შესწორება ან სრული მონაცემების უფასოდ მიწოდება მოთხოვნის მოთხოვნის წარდგენით.

26. გადამხდელს უფლება აქვს მოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტა (მონაცემების წაშლა), თუ პერსონალური მონაცემები აღარ არის საჭირო იმ მიზნით, რისთვისაც იგი იქნა მიღებული ან თუ პერსონალური მონაცემები დამუშავდა უკანონოდ ან თუ პერსონალური მონაცემები უნდა წაიშალოს, კანონიერი მოვალეობის დაცვით. გადამხდელის უფლება მოითხოვოს მათი დამუშავებული პერსონალური მონაცემების წაშლა, შესაძლოა შეზღუდული ან შეუძლებელი იყოს Paysera-ს, როგორც გადახდის სერვისების მიმწოდებლის, კანონიერი ვალდებულებების გამო, დაიცვას მომხმარებლის იდენტიფიკაციის შესახებ მონაცემები, გადახდის ოპერაციები, დადებული ხელშეკრულებები და ა.შ. კანონით განსაზღვრული ვადი.

27. PIS და/ან AIS უზრუნველყოფის მიზნით, გადამხდელის პერსონალური მონაცემები ინახება მისი მიღებიდან 3 წლის განმავლობაში.

28. მონაცემების წვდომის, შესწორებისა და წაშლის მოთხოვნები გადამხდელის მიერ ელფოსტით უნდა გაიგზავნოს მისამართზე support@paysera.com. მოთხოვნაში მომხმარებელმა მკაფიოდ უნდა მიუთითოს თავისი სახელი და გვარი. Paysera მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო მონაცემები: dpo@paysera.com.

29. PIS და/ან AIS მომსახურების მიწოდებისას საჭირო cookie PHPSESSID, რომელიც უზრუნველყოფს PIS და/ან AIS მომსახურების სათანადო შესრულებას, დაყენებულია გადამხდელის მოწყობილობაზე ვებ სესიის ხანგრძლივობის განმავლობაში. გადამხდელს შეუძლია შეცვალოს თავისი ბრაუზერის პარამეტრები ისე, რომ cookie არ იყოს მიღებული ან წაშლილი, თუმცა ასეთ შემთხვევაში PIS და/ან AIS მომსახურებები არ იქნება ხელმისაწვდომი ტექნიკური მიზეზების გამო.

საბოლოო დებულებები

30. გადამხდელი, რომელიც სარგებლობს Paysera-ს მომსახურებით, ურჩევს გაეცნოს Paysera სისტემის უსაფრთხო გამოყენების სახელმძღვანელო მითითებებსა და რეკომენდაციებს.

31. წინამდებარე წესები ექვემდებარება ლიეტუვას რესპუბლიკის კანონს, მაშინაც კი, თუ დავა გადამხდელსა და Paysera-ს შორის ექვემდებარება ლიეტუვას რესპუბლიკის გარდა სხვა ქვეყნის იურისდიქციას.

32. გადამხდელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზიები და საჩივრები გაწეული გადახდის მომსახურების შესახებ გენერალურ ელ.ფოსტის მისამართზე support@paysera.com. გადამხდელის წერილობითი მოთხოვნა განიხილება მიღებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც Paysera-ს კონტროლის მიღმა

მყოფი გარემოებების გამო, პასუხის მიწოდება შეუძლებელია 15 სამუშაო დღის განმავლობაში, Paysera-მ უნდა გასცეს არაგადამწყვეტი პასუხი. ნებისმიერ შემთხვევაში, საბოლოო პასუხი მიიღება არაუგვიანეს 35 სამუშაო დღისა.

33. თუ გადამხდელი არ არის კმაყოფილი Paysera-ს გადაწყვეტილებით, გადამხდელს უფლება აქვს გამოიყენოს სხვა სამართლებრივი საშუალებები და:

33.1. წარადგინოს მოთხოვნა ლიეტუვას ბანკში Totorių g. 4, LT-01121 ვილნიუსი და/ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე info@lb.lt .

33.2. თუ გადამხდელი მომხმარებელია, მას ასევე აქვს უფლება დაუკავშირდეს ლიეტუვას ბანკს, როგორც დაწესებულებას, რომელიც წყვეტს სამომხმარებლო დავებს არასასამართლო გზით ( შეიტყვეთ მეტი ).

34. დავის მშვიდობიანად გადაუწყვეტობის შემთხვევაში ან დავის სხვა არასასამართლო მეთოდით ვერ გადაწყვეტის შემთხვევებში, დავას წყვეტენ სასამართლოები კანონით დადგენილი წესით Paysera-ს ოფისის ადგილმდებარეობის მიხედვით.

35.პირი, რომელიც AIS-სა და PIS-ს იყენებს Paysera სისტემაში, აღიარებს, რომ მისთვის ნაცნობია წინამდებარე წესები.

36. Paysera იტოვებს უფლებას შეცვალოს აღნიშნული წესები ცალმხრივად, ნებისმიერ დროს და შეცვლილი წესები ძალაში შედის მისი Paysera-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

**წესების ისტორია**

გადახდის ინიცირების უზრუნველყოფისა და ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურება წესები მოქმედია 20/07/2020- მდე

გადახდის ინიცირების უზრუნველყოფისა და ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურების წესები მოქმედია 04/12/2020 -მდე